სახნავი ვაუჩერების გაცემა დაიწყო

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, „მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში, 561 ცალი სახნავი ვაუჩერის გაცემა დაიწყო. ვაუჩერების მოკითხვა შეგიძლიათ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, მესამე სართულზე. საკონტაქტო პირი: ავთანდილ ჩხაიძე 595 42 36 68 შეგახსენებთ, რომ პროექტის მოსარგებლე (ბენეფიციარები) არიან: ფერმერები, რომელთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ერთწლიანი კულტურებისათვის გამკუთთვნილი სახნავი მიწის ჯამური ფართობი არ აღემატება 1.25 ჰა-ს. ფერმერები, რომლებსაც არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურებისათვის განკუთვნილი სახნავი მიწის ნაკვეთი და აქვთ მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული მიწის ნაკვეთ(ებ)ი, რომელთა ფართობების ჯამი არ აღემატება 1.25 ჰა-ს. ამავე დროს, ფერმერთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით გაშენებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 5 ჰა-ს. პროექტის ფარგლებში მოსარგებლეები მიიღებენ სუბსიდიას სასოფლო-სამეურნეო (ხვნის) ბარათის ან „აგრო ბარათზე“ დარიცხული ქულების სახით.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. №12 (10102), 23 მარტი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

არც ერთი ადამიანი, რომელსაც საცხოვრებელი არ გააჩნია, ქუჩაში არ დარჩება

ალიონი. 18 მარტს ოზურგეთის ყოფილი სამშობიაროს შენობაში შესახლებულებს ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძე გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან მოისწრაფიშვილი და ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე შეხვდნენ.

გთხოვთ, ხელი შეგვიწყოთ, რომ შენობის გარემონტება, რაც შეიძლება, მალე დავიწყოთ, რათა მოკლე ხანში მოგვცეთ ნორმალურ პირობებში ცხოვრების საშუალება. მესმის თითოეული თქვენგანის მდგომარეობა, ამიტომ რემონტის დასრულებამდე ალტერნატიული ფართის სახით ყოფილი საავადმყოფოს შენობას გთავაზობთ," - განუცხადა შეკრებილებს ქალაქის მერმა, რომლის თქმითვე, ქალაქის მერიაში არსებული შესაბამისი კომისიის მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ საცხოვრებელი ფართით 56 ოჯახი დაკმაყოფილდება.

როგორც თემთა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მერაბ ჭანუყვაძემ აღნიშნა, იმ ადამიანებზე, რომლებიც სოფლის ტერიტორიაზეა რეგისტრირებული და საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ, თემთა მუნიციპალიტეტი იზრუნებს. ეტაპობრივად ყველა დაკმაყოფილდება. ამ მიზნით, როგორც ცნობილია, სოფელ მერიაში ყოფილი სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე მოხდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაცია, სადაც 70 ოჯახი განთავსდება.

კომისიების მუშაობის პროცესის გამჭვირვალედ ჩატარებაზე ისაუბრა გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა, ქეთევან მოისწრაფიშვილმა. მისი თქმით, არც ერთი ადამიანი, რომელსაც საცხოვრებელი არ გააჩნია, ქუჩაში არ დარჩება. ამ პროცესს კი მონიტორინგს მედია და არასამთავრობო სექტორი გაუწევს.

სამშობიაროს ყოფილ შენობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ერთი თვის შემდეგ დაიწყება.

კაოლინის ქარხანა

– „ნაციონალების“ დროს დვაბზუში ორჯერ ბზუილით გახსნილი და „ქართული ოცნების“ ოცნებებშიც ვერმოხვედრილი საწარმო

თემურ მარშანიშვილი

„ათი-თხუთმეტი ასეთი საწარმო გურიაში და აქ დასაქმების პროგრამა გადაწყდება!“

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ზოგადად მეხსიერება არ ღალატობს, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთს მაინც სჭირდება შეხსენება: ეს სიტყვები, შვიდი წლის წინათ რომ ისტორიული ფრაზა გვეგონა, მეორედ გაპრეზიდენტებულმა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის 28 თებერვალს წარმოთქვა სოფელ დვაბზუში კაოლინის ქარხნის ასევე მეორედ გახსნისას.

ოზურგეთში ერთი დღის დაგვიანებით ჩამოსულმა მიხეილ სააკაშვილმა ზუსტად აქედან, „გეომაგინვესტპრომის“ ერთ-ერთი ფილიალის, სოფელ დვაბზუში კერამიკის თიხის წარმოებისათვის ნედლეულის გადამამუშავებელი ქარხნის გახსნით დაიწყო თავისი ყველაზე ფართომასშტაბიანი და საკმაოდ ხმაურიანი ვიზიტი გურიაში. „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ მაშინ ომახიანად გაახმიანა, რომ აქვე გამოუშვებენ მეთლახს, კაფელს, კრამიტს. ოზურგეთის მანქანათმშენებლობის ქარხნის შესყიდვაც კი ჰქონდათ დაგეგმილი, რომელიც კომბინატად გადაკეთდებოდა, დაასაქმებდნენ მოსახლეობას და ა. შ.

მსგავსი არაფერი მომხდარა სიტყვა ვერ იქცა საქმედ. რომელი მეთლახის, კაფელისა და კრამიტის დამზადებაზეა საუბარი, როცა გახსნის დროს ქარხნის ტერიტორიაზე სახელდახელოდ შემოტანილ და გორებად დაყრილ, ასეულტონობით სანედლეულო თიხაზე აკაციის ტევრია წამოსული.

დვაბზუს კაოლინის ქარხანა იმდენად სერიოზული თემაა, ენაჭარტალების მიერ გავრცელებულ სხვადასხვა ჭორს ვერ ავყვებით, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მას შემდეგ „გეომაგინვესტპრომის“ წარმომადგენლებს დვაბზუსკენ პირი აღარ უქნიათ ან წინა მთავრობის შიშით, ან კიდევ, – „ნაციონალების აკვიატებული გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, – ახლის უნიათობით. ყოველ შემთხვევაში, დღემდე არც ერთ მედიასაშუალებას ასეთი ფაქტი არ დაუფიქსირებია.

ისტორიული დარჩა მხოლოდ ის, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა მაშინ თავისი სტუმრობით ვაშალომიძეების ოჯახი გააბედნიერა და 86 წლის ქალბატონი მატრონე მოინახულა.

მოკლედ, რომ ვთქვათ 8 წელზე მეტი გავიდა და ამ ქარხნიდან ბოლი არ ამოსულა, თუ არ ჩავთვლით ზამთარში დაცვის პოლიციის ჯიხურში დანთებული ღუმელის ცეცხლის კვამლს.

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ქალაქის საკრებულომ 2014 წელს გაწეული მუშაობა შეაჯამა

მარი კოკოლევი

16 მარტს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა სულ რვა საკითხი განიხილეს. თავდაპირველად საკრებულოს თავმჯდომარემ, გელა კობალაძემ 2014 წელს გაწეული საქმიანობა შეაჯამა.

ორი არასამეწარმეო იურიდიული პირის „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის" და „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „მერცხალის" რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ახალი სუბიექტი „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბი „მერცხალი". რეორგანიზაცია განხორციელდა ქალაქის მერის, ბეგლარ სიორიძის გადაწყვეტილებით. ოზურგეთის მერიას მიაჩნია, რომ აღნიშნული იურიდიული პირების საქმიანობის მიზნები იდენტური იყო. ამიტომ, ფეხბურთის და სპორტის სხვა სახეობების განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის უმჯობესია მათი მატერიალური და ფინანსური რესურსების გაერთიანება.

ცვლილებები შევიდა სოციალური დახმარების გაცემის წესში. ქალაქის ტერიტორიაზე ფაქტიურად მცხოვრებ შეჭირვებულ მოქალაქეებს, რომლების საჭიროებენ **C** ჰეპატიტის სკრინინგ დიაგნოსტიკას და რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველ პირთა ერთიან ბაზაში 150 001-მდე ქულით, მიეცემათ ერთჯერადი დახმარება 25 ლარის ოდენობით, ლაბორატორია „ბიომედიკა-გეორგიაში" ლაბორატორიული კვლევის ჩასატარებლად. პროგრამით სარგებლობის მსურველებმა უნდა წარადგინონ: განცხადება, პირადობის მოწმობის ასლი, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა NIV-100\ა, მკურნალობის ანგარიშფაქტურა, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" დაფიქსირებული ოჯახების სარეიტინგო ქულის ამონაწერი, ანგარიშის ნომერი.

ცვლილებები შევიდა 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში. ცვლილება განხორციელდა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამაში. სუბსიდია შემცირდა 10,9 ათასი ლარით. ცვლილება ბენეფიციართა რაოდენობის შემცირებამ გამოიწვია. ბენეფიციართა რაოდენობა, ნაცვლად 22-ისა, განისაზღვრა 13-ით. 4,9 ათასი ლარით სუბსიდია შეუმცირდა სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრსაც. ამის მიზეზად მათი ბიუჯეტის დაზუსტება დასახელდა.

აქედან გამომდინარე, ეკონომიამ შეადგინა 15,8 ათასი ლარი, რაც მოხმარდება მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს და შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურებას.

სოფლის კრებები დასრულდა

სოფლის კრებები დასრულდა. ორი კვირის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე 28 თემის მოსახლეობას შეხვდა. კრებებზე ადგილობრივი მოსახლეობა გამგებელთან ერთად იმ პრიორიტეტებზე შეჯერდა, რომელიც 2015 წლის ბოლომდე ყველა სოფელში უნდა დასრულდეს.

კრებების მთავარი მიზანი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოსახლეობის თანამონაწილეობა და მათთან შეთანხმებული პროექტების განხორციელებაა. გარდა იმისა, რომ მუნიციპალიტეტი სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხების სწრაფად და და ეფექტურად ათვისებას გეგმავს, თემებში სტიქიის დროს დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მოხდება.

2014 წლის ბიუჯეტის ანგარიში

მარი კოკოლევი

გასული კვირის პარასკევს, ქალაქ ოზურგეთის საკრებულომ, 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოისმინა.

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის უფროსმა, მარიკა ნაცვალაძემ, დაწვრილებით ისაუბრა ბიუჯეტის ყველა მიმართულების გეგმასა და შესრულებაზე.

2014 წლის ბიუჯეტის ხარჯები პრიორიტეტების მიხედვით ასე გადანაწილდა.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს დაფინანსება: გეგმა 1 547,8 ათ. ლარი - შესრულება 1 513,5 ათ ლარი; თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება გეგმა 227,9 ათ. ლარი–შესრულება 225,5 ათ. ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია: გეგმა 4 327,6 ათ. ლარი–შესრულება 2 512,9 ათ. ლარი; განათლება: გეგმა 909,6 ათ. ლარი–შესრულება 879,9 ათ. ლარი; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები: გეგმა 2434,4 ათ ლარი –შესრულება 2 419,5 ათ. ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა: გეგმა 361,9 ათ. ლარი –შესრულება 358,4 ათ. ლარი.

ერთ-ერთი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია შესრულდა მხოლოდ 58.1 %-ით. ვინაიდან საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელი დარჩა 108.4 ათასი ლარი. ხოლო სტიქიის შედეგები სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხა 1 340.0 ათასი ლარი მიღებული იქნა 2014 წლის 31 დეკემბერს.

მიწის ნაკვეთის თაობაზე დავამ პოლიციაში გადაინაცვლა

ალიონი. გასული კვირის ოთხშაბათს რედაქციაში ნარუჯელი ქალბატონი გვესტუმრა, რომელიც თავისი ოჯახის გასაჭირზე გვესაუბრა. აღნიშნა, რომ სოციალურად უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ცხოვრობს. მეუღლემ, სანამ მძიმე ავადმყოფი შეიქნებოდა, შემოიღობა საკარმიდამოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც თხილი გააშენა და ასე გაჰქონდათ თავი. შემდეგ მოხდა ისე, რომ ეს მიწის ნაკვეთი, დაუკითხავად თავისმა მეზობელმა შეიძინა და ოჯახის ერთადერთი შემოსავალი – თხილის ნარგაობაც ამ მეზობლის საკუთრებაში აღმოჩნდა.

ქალბატონმა გვთხოვა, ნარუჯაში გავყოლოდით და ადგილზე გავცნობოდით ყველაფერს. მეორე დღისთვის ტრანსპორტით უზრუნველყოფასაც შეგვპირდა. როცა ვინაობა მოვკითხეთ, ადგილზე რომ მივალთ, გაგებთო, გვიპასუხა, სხვათა შორის, მოდავე მხარის ვინაობის დასახელებისაგანაც თავი შეიკავა. ამოდ ველოდეთ მეორე დღეს. არც შემდეგ დღეებში გამოჩენილა.

მივიკითხ-მივიკითხეთ და შაბათს დავადგინეთ, რომ ეს ქალბატონი ნაზი შამანაძე ყოფილა, ხოლო მეზობელი, რომელსაც ის ედავება,– ნუცა პაპიძე.

მოპოვებული ინფორმაციით, ნუცა პაპიძეს ხსენებული მიწის ნაკვეთი, იქვე მდენარე, სხვა ნაკვეთებთან ერთად (სულ 8 ჰექტარამდე), „გეოპლანტისაგან“ შეუსყიდია ყველანაირი წესის დაცვით (ერთი კვადრატული მეტრი 35 თუ 40 თეთრად), როგორც კერძო პირს კერძო პირისაგან.

ნუცა პაპიძე თანახმა ყოფილა დათმოს ეს ნაკვეთი იმ პირობით, რომ შამანაძე მას გადაუხდის იმ სამი თუ ოთხი ათასი კვადრატული მეტრის საფასურს, რაც მან „გეოპლანტს“ გადაუხადა. 1000 კვადრატულ მეტრს ზევითაც ჰპირდება თურმე. შამანაძე კი უფასოდ გადაცემას ითხოვს, რადგან ამ მიწის ნაკვეთით 15 წლის განმავლობაში სარგებლობდა, თხილის პლანტაციაც მას ეკუთვნოდა და ეს ყველაფერი პაპიძემ ძალიან კარგად იცოდა.

მისივე თქმით, ასეთნაირად შემოღობილი მიწის ნაკვეთებით დღეს ნარუჯაში დღეს ბევრი სარგებლობს, მაგრამ სხვა არავისთვის ჩამოურთმევიათ და არც გაუყიდიათ.

როგორც გავიგეთ, შამანაძეს შესაბამის განცხადებით პოლიციისთვისაც მიუმართავს.

ოზურგეთელები „ნაციონალების“ აქციაზე

პარასკევს, გაზეთის სტამბაში გაგზავნის წინ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ორგანიზაციიდან გავაცნობეს: 21 მარტს ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილ აქციას ოზურგეთიდან 500 მონაწილე შეუერთდება, რაც შეეხება რესურსებს გვყავს დაქირავებული სამგზავრო ავტობუსი ასევე მხარდამჭერები საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შემოუერთდეს დაგეგმილ აქციას. მასში ჩართულია როგორც პარტიის წევრები ასევე საზოგადოების სხვა წევრებიც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 21 მარტის აქციას უერთდება „ქართული ოცნების“ ყოფილი მხარდამჭერებიც. ღონისძიებაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აბსოლიტურად ყველა სოფელი ღებულობს მონაწილეობას.

ზონალური ინტელექტ-კლუბების შექმნა

ქეთი ბოლქვაძე

17 მარტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორმა ავთანდილ სირბილაშვილმა, ახალგაზრდული საქმეთა განყოფილების სპეციალისტმა ხატია გიორგაძემ, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის უ როსმა მაიზერ ცელაძემ და გამგეობის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა რუსუდან გიორგაძემ ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართეს შეხვედრა ოზურგეთის თემთა გაერთიანების სკოლების ინტელექტ-კლუბების მოაზროვნეებთან ზონალური ინტელექტკლუბების შექმნასთან დაკავშირებით.

მოსწავლეები გაეცნენ ზონალური ინტელექტ-კლუბების მუშაობის პრინციპებს, სადაც დასახული იქნა გეგმა, როგორ უნდა ემუშავათ კლუბებს არჩეულ ზონალურ ლიდერებთან ერთად. შერჩეული იქნა ინტელექტ-თამაშების რამდენიმე ფორმატი: სპორტული ვერსია; 3 გეიმი; თავსატეხები; ბრეინ-რინგი; რა, სად, როდის.

2015 წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს აქვს ბევრი საინტერესო გეგმა. იგეგმება მუსიკისა და ლიტერატურის მოყვარულთა კლუბების შექმნა, ლიტერატურის საღამოების შექმნა გაზაფხულსა და შემოდგომაზე. კონკურსი – საუკეთესო 5 პროექტი, თემა: ჩემი სოფლის ისტორია, ასევე საახალწლოდ შოუ-პროგრამა სოფლის ახალგაზრდებისთვის.

„ნაციონალების“ დროს დვაბზუში ორჯერ ბზუილით გახსნილი და „ქართული ოცნების“ ოცნებებშიც ვერმოხვედრილი საწარმო

სამწუხაროდ, კოლინის ქარხანა „ქართული ოცნების“ ოცნებებშიც ჯერჯერობით ვერმოხვედრილი საწარმო აღმოჩნდა, რადგან, როგორც ჩანს, დაპირებული ასი უკვე „ააშენეს“ და ეგრევე ასმეერთეს ხომ არ დაამატებდნენ?!

სააკაშვილის ეს ვიზიტი ფართომასშტაბიანი და საკმაოდ ხმაურიანი იყო-მეთქი, უკვე გითხარით. კარგად მახსოვს, კოლინის ქარხანა ერთადერთი საწარმო აღმოჩნდა, სადაც ამ ვიზიტის დროს ადგილობრივ ჟურნალისტებს შესვლის უფლება მოგვცეს. დანარჩენ ობიექტებზე მხოლოდ ტელევიზიები დაუშვეს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, პრეზიდენტს იმ დღეს №1 ჩაის ფაბრიკა უნდა გაეხსნა, რომელიც „გეოპლანტის“ საკუთრებას წარმოადგენდა. ასეც მოხდა. იქედან გამოსულმა ერთ-ერთმა კოლეგამ კოლეგიალობა გამოიჩინა და მოკლე დროით თავისი ვიდეოჩანაწერი დაგვითმო. ორმილიონიან ინვესტიციაზე იყო საუბარი, ინდურ დანადგარებს შემოვიტანთ და ქართულ ბრენდს შევქმნით, რომელიც გაიყიდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებშიო. ახალი ბრენდი ამა წლის სექტემბერში შეიქმნებაო. დანაპირებს აუცილებლად შევასრულებთ და გურიაც განვითარდებაო...

ვისაც არ სჯერა, რომ ეს ყველაფერი ბაქი-ბუქი იყო, დამისახელოს დასავლეთ ევროპის რომელ ქვეყანაში, ან ამერიკის რომელ შტატში იყიდება ოზურგეთის №1 ჩაის ფაბრიკაში შექმნილი ქართული ბრენდი.

ვერ დავივიწყებთ „ნაციონალების“ სხვა დაპირებებსაც, მათ შორის გურულებისთვის სლოგანად ქცეულს: „შარდენი – ოზურგეთში, სტადიონი – ლანჩხუთში, რეაბილიტირებული ბახმარო – ჩოხატაურში“.

ლანჩხუთსა და ჩოხატაურში რა და როგორ გაკეთდა, ეს ჩვენზე უკეთ იქაურებმა

იციან. ოზურგეთში კი, შეიძლება ითქვას, რომ ჭავჭავაძის ქუჩაზე, შარდენის ნაცვლად, შარდმდენი მოაწყვეს, მრავალსართულიანი სახლების უხარისხო გადახურვებითა და დაუმთავრებელი საკანალიზაციო სისტემით.

მაჟორიტარი დეპუტატის კეთილგანწყობა, პრემიერ-მინისტრის რეაგირება და დიდი სტუმრიანობა ოზურგეთში



საქართველოს პარლამენტის წევრის, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი ზვიად კვაჭანტირაძის კეთილგანწყობა ოზურგეთის მოსახლეობისადმი დიდი ხანია ყველასათვის ცნობილია და ამიტომაც მიმართავენ მას სხვადასხვა პრობლემების მოსაგვარებლად ოზურგეთლები.

მშობლიურ ქალაქში, ბატონი ზვიადის ყოველი ჩამოსვლისას, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში მუდამ ხალხმრავლობაა და მიღების საათები განუსაზღვრელია, რადგან დილიდან გვიან საღამომდე ბატონი ზვიადი მოსახლეობის პრობლემების მოსმენით არის დაკავებული.

დეპუტატის თანდგომით ბევრი პრობლემა მოგვარდა, რითაც მოსახლეობის დიდი ნაწილი კმაყოფილია და მადლიერებას გამოხატავს. რაც შეეხება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, ოზურგეთში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, საკითხი უკვე დაიძრა და მალე მოეფინება ნათელი, წლების მანძილზე დაგროვილ გაუგებრობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაჟორიტარ დეპუტატს თხოვნით მიმართა ოზურგეთელ ჟურნალისტთა საინიციატივო ჯგუფის წევრებმა იმისათვის, რომ არსებული პრობლემის მოსაგვარებლად, საქართველოს პარლამენტში განეხილათ ოზურგეთის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა და შესაბამის უწყებებს შეესწავლა წამოჭრილი საკითხი, რადგან მისი მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

საკითხი ეხება ოზურგეთში არსებული ყოფილი საბჭოთა სამხედრო ბაზების, ყოფილი ქიმიური ქარხნის ტერიტორიის, ანასეულში ქიმიური და რეაქტიული ნარჩენების სამარხის და სხვა მსგავსი საკითხების შესწავლას. ასევე, მოსახლეობის ვარაუდით, დაავადების გავრცელების საშიშროებას, რაც სპეციალისტების აზრით დადასტურებული არ არის.

ჟურნალისტთა საინიციატივო ჯგუფის მიმართვის განხილვის შემდეგ, მაჟორიტარმა დეპუტატმა პრემიერ მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს გააცნო ოზურგეთის მოსახლეობის თხოვნა, რასაც სწრაფი რეაგირება მოჰყვა.

დეპუტატ კვაჭანტირაძის წერილის საფუძველზე, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, შესაბამის უწყებებს დაევალა ოზურგეთში არსებული პრობლემის შესწავლა და მოგვარება.

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის ხელმძღვანელობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:

-სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს კრიზისული სიტუაციების მართვის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე გიორგი სვანაძე;

-ამავე უწყების უფროსი მრჩეველი ლევან გელაშვილი;

-თსუ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ დოლიძე;

-სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი ბადრი ცატავა;

-საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ხატია ჯიქურიძე;

-საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის უფროსი ალავერდ ჩარქსელიანი;

-საქართველოს პარლამენტის წევრის, ოზურგეთის მაჟორტარი დეპუტატის, ზვიად კვაჭანტირაძის თანაშემწე გიორგი დათუნაშვილი;

-დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდები დაავადებების დეპარტამენტის გარემოს ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსი ნანა გაბრიაძე.

მიმდინარე წლის 4 მარტს გაიმართა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. გიორგი დათუნაშვილმა ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ოზურგეთში არსებულ ვითარებაზე და ადგილობრივი მოსახლეობის განწყობაზე. ასევე აღინიშნა, რომ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში მოსახლეობის მხრიდან სისტემატიურად შემოდის წერილები ონკოლოგიურ დაავადებათა გახშირების თაობაზე, რასაც უკავშირებენ ქიმიური ნარჩენების არსებობას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ავთანდილ დოლიძემ, ალავერდ ჩანქსელიანმა და ხატია ჯიქურიძემ განაცხადეს, რომ აღნიშნულ სოფლებში (მერია,ჭანიეთი) ქიმიური და რადიაციული კუთხით საფრთხე საერთოდ არ არსებობს.

ჟურნალისტთა საინიციატივო ჯგუფის მიმართვაშიც იყო აღნიშნული, რომ მელანჟი და სამინი მერიის ტერიტორიიდან გატანილია, მაგრამ სხვა ქიმიური და მძიმე მეტალების ნარჩენები რომ არის გამოსაკვლევი, ეს აწუხებს ადგილობრივ მოსახლეობას.

რაც შეეხება ანასეულს, აღინიშნა, რომ რამდენიმე წლის წინ ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური დახმარებით მოხდა დაბინძურებული ნიადაგის მოჭრა და დროებითი კონსერვაცია. 2013 წელს რადიაციული კერების არსებობაზე აღნიშნული ტერიტორიის შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ამ მხრივ ანასეულში საფრთხე არ არსებობს.(?)

მოსახლეობის შესაძლო დასნებოვნების მიზეზებთან დაკავშირებით, ნანა გაბრიაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ სოფლებში მოსახლეობის ონკოლოგიური დაავადების შესახებ მონაცემებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ზოგადად ქვეყნის მასშტაბით ონკოლოგიური ფონის ზრდის სტატისტიკას მოკლე ვადებში მიაწოდებს სამუშაო ჯგუფს.

შეხვედრაზე დაიგეგმა, ჩატარდეს გასვლითი თათბირი ქალაქ ოზურგეთში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, რათა დამატებით იქნეს შესწავლილი ადგილზე არსებული ვითრება და მოსახლეობის საჩივრების საფუძვლიანობა.

12 მარტს სამუშაო ჯგუფი ოზურგეთში ჩამოვიდა და მუნიციპალიტეტის გამგეობის საქტო დარბაზში ჩაატარა თათბირი, რომლის მსვლელობისას მრავალი საკითხი იქნა განხილული.

სპეციალისტთა აზრით ოზურგეთში პანიკის საფუძველი არ არსებობს, რადგან მდგომარეობა არც ისე საგანგაშოა, როგორც ამას ჟურნალისტები აშუქებენ.

მართალია, გატარდა რიგი ღონისძიებები და დადგინდა, რომ რადიაციული საფრთხე აღარ არსებობს, მაგრამ კითხვები, რომელიც საზოგადოებაში დღემდე არსებობს, უპასუხოდ არ უნდა დარჩეს.

როცა თვალნათლივ ჩანს დაბინძურებული ტერიტორიები, როცა გვიანდება მათი გაწმენდა, რის გამოც იქმნება ანტისანიტარია და იზრდება დაავადებათა გავრცელების საფრთხის რისკი, როცა არსებობს ჯორჯიის შტატის უნივერსიტეტის ეკოლოგიური ლაბორატორიის დასკვნა ანასეულის ნიადაგის სინჯებთან დაკავშირებით და შესასწავლია მრავალი გარემოება, ე.ი, საჭიროა კიდევ გატარდეს სხვადასხვა ღონისძიებები, რათა საბოლაოდ მოგვარდეს არსებული პრობლემა და მოსახლეობა დამშვიდდეს.

ოზურგეთში სტუმრად ჩამოსული სპეციალისტები მალე დაიწყებენ საკითხის შესწავლას და პრობლემის მოგვარებას. ამ პირობით დასრულდა ეს ხანგრძლივი შეხვედრა, რომელიც აზრთა გაზიარების და კამათის რეჟიმში წარიმართა. გამოითქვა მადლიერება პრემიერ-მინისტრის და მაჟორიტარი დეპუტატის მისამართით, ასევე სტუმრების მიმართ, გულთან ახლოს რომ მიიტანეს ოზურგეთის მოსახლეობის სატკივარი.

და მაინც! – მიუხედავად გამოთქმული მადლიერებისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ოზურგეთელი ჟურნალისტების ღვაწლი, რაც მათ მუხლჩაუხრელ და კეთილსინდისიერ საქმიანობაში გამოიხატება. ასე რომ, მათი მისამართით გამოთქმული საყვედური უსაფუძვლოდ მიგვაჩნია!

გოჩა ჟანიშვილი

ხელოვნებაა მარადი...

აწმყოში ჩაასახლა წარსული და მყოობადი



არ არის ადვილი იყო ხელოვნების სამსახურში. არც ისაა ჩვეულებრივი მოვლენა, ხელოვნებით აწმყოში ჩაასახლო წარსული და მყოობადი. ერთიან მარადისობად აქციო და ცოცხალი სული შთაბერო სიყვარულით მადლცხებული.

ჭეშმარიტმა ხელოვნებამ დროს რომ გაუძლო და დრომ ხელოვნება ადიადა, არც ესაა მრავალთა ხვედრი. თუმცა ამ სიმაღლემდე საკმაოდ რთული გზა მიემართება. შესაძლოა ვთქვათ, ძალიან რთულიც.

ერთ-ერთი ასეთი გზა გურიას, ოზურგეთის რაიონის სოფ. ბაღდადს უკავშირდება, პერიოდულად აქ გატარებული ბავშვობით, ყრმობით, საზოგადოებრივი ცხოვრებით და ყველა თანამდევი ტკივილით და სიხარულით. დიახ, ბევრჯერ ეტკინა თავისი ქვეყნის ტკივილით და ბევრჯერაც ატკინეს გული.

უდიდესი ხელოვანი, არაერთი ტიტულის მფლოელი და პრემიის ლაურეატი მერაბ ბერძენიშვილი ოზურგეთის საპატიო მოქალაქეა.

— „ოზურგეთელი ხელოვანი, გურიაზე სულით და გულით შეყვარებული ბატონი მერაბ ბერძენიშვილი თითქმის ათი წელია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გურიას ოცნებებში წარმოიდგენს მხოლოდ.“ — საუბრობს ხელოვანზე ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრ - სურათების გალერეის დირექტორი ავთანდილ თავართქილაძე. ცენტრის ექსპერტთა ბიუროს გადაწყვეტილებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე დაყენებულია საკითხი ცენტრისთვის მერაბ ბერძენიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

ხანმოკლე საუბარი ბატონ მერაბთან ავთანდილ თავართქილაძის დახმარებით შედგა. პირველი კითხვა ჩვენს ნაცვლად ჩვენმა რესპონდენტმა დასვა და დაწვრილებით გამოიკითხა გურიაში მიმდინარე მოვლენები. ამ საუბარში არა მხოლოდ დიდი ხელოვანი, თავისი კუთხის, თავისი ქვეყნის დიდი მეჭირისუფლე იკითხება.

გულში რა საფიქრალი და განსაცდელი აქვს, ეს თავად ხელოვანმა უწყის, მისი შემოქმედებისთვის გარედან მაცქირალი თვალით კი ადვილად დასანახია, რომ ის არ ყოფილა მეხოტბე დროში მოღვაწე მთავრობების. ეთაყვანება მხოლოდ თავის ქვეყანას და შემოქმედს, რომელმაც უკურთხა მადლი ხელოვნებისა. სწორედ ამ მადლით შესძლო იმ ძეგლთა შექმნა, რომლებიც ესოდენ უხდება სამყაროს: „მუზა“, „დავით გურამიშვილი“, „ილია ჭავჭავაძე“, „გიორგი საკაძე“, დიდგორის კომპლექსი, „ალგეთის ლეკვები“, „მედეა“, „ქეთევან წამებული“, „შოთა რუსთაველი“ (სადიპლომო ნამუშევარი, დგას მოსკოვში), „მზეჭაბუკი“... ეს მცირე ჩამონათვალია დიდი შემოქმედებიდან. მანვე კაცის ხასიათსა და გურული სიმღერის განსაკუთრებულ ფენომენზე შექმნა ნაშრომი, რომელიც წიგნადაც გამოიცა.

ავთანდილ თავართქილაძე: — „მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება, ეს არის ქართული სულის გამოვლინება პლასტიკაში. მან შექმნა მსოფლიო დონის საეტაპო ესთეტიკა. გურულებს ასეთი დიდი ხელოვანი არ გვყოლია. ამიტომაც არის იგი დიდ გურულად წოდებული და რა გასაკვირია, რომ სახვითი ხელოვნების ცენტრს მისი სახელი მიენიჭოს. ისევე, როგორც ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, სრულიად სამართლიანად მიენიჭა მას საპატიო ოზურგეთელის ტიტული. ეს ერთი მხრივ პიროვნებისა და მეორე მხრივ დარგის პოპულარიზაციაა მომავალი თაობების თვალში.

კარგია, რომ მისმა მშობლიურმა ქალაქმა მისი ღვაწლი დააფასა. ქალაქი ხომ ჰაერში არ არის გამოკიდებული და ის სწორედ ასეთი ადამიანების ფესვებს ეყრდნობა. ქალაქს აქვს თავისი ტრადიცია და როგორც მოწესრიგებილი ინფრასტრუქტურული ბაზა სჭირდება, ასევე სჭირდება სულიერი ბაზა. ასეთებია ბატონი მერაბი, ანზორ ერქომაიშვილი და კიდევ ბევრი სხვა.“

ავთანდილ თავართქილაძემ მისი უფროსი მეგობრის სიტყვები გაიხსენა: — „საქართველო მულტიკულტურული ქვეყანაა და ძირითადად კულტურასა და განათლებას უნდა ეყრდნობოდეს. ცუდი იქნება, თუ ოზურგეთს თურქულ ქალაქს დავამსგავსებთ. საქართველოს პატარა ვენეციას ეძახდნენ. ჩვენ ევროპულ ქალაქს ვერ დავემსგავსებით, რადგან იქ სხვა ტრადიცია და კულტურაა. კარგი იქნება, თუ ოზურგეთი კოლორიტული და ინდივიდუალური ქალაქი გახდება, რაც მას განსაკუთრებულ საინტერესო ელფერს მიანიჭებს. ერთი ქუჩა, ძველი ოზურგეთის სახე, ეს კულტურის კერაც იქნება და ტურისტებისთვისაც საინტერესო. ჩემი ოცნება იყო ოზურგეთში ქანდაკება დამედგა. არ ვითხოვ შემოქმედებით ხარჯებს. მხოლოდ დადგმის ხარჯები უნდა გაიღოს ქალაქმა. და თუ ეს ოცნება ამიხდა, ამ საქმეს ჩემს მოსწავლეს, ვასო მჟავანაძეს ვანდობ. ასევე ვენდობი ვახტანგ მამეიშვილს“.

ამ წერილში ვასრულებთ მერაბ ბერძენიშვილის თხოვნას, რომელიც გაზეთ „ალიონის“ ფურცლებიდან ეხმიანება მშობლიურ კუთხეს. მადლობას უთვლის მშობლიურ ქალაქს საპატიო ოზურგეთელის ტიტულის მინიჭების გამო.

—„მაპატიოს მშობლიურმა ქალაქმა, რომ ვერ შევძელი მადლობის გადახდა, მძიმე ავადმყოფობის გამო. მადლობა ქ. ოზურგეთის ხელისუფლებასა და თითოეულ ოზურგეთელს. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემს ქალაქს ვიხილავ ისეთს, რომელსაც ჩემს ოცნებებში ვხატავ.“

მამული ადამიანით ფასობს და ადამიანი მამულის მსახურებით. მერაბ ბერძენიშვილმა მთელი თავისი შემოქმედებით სამართლიანად დაიმსახურა საპატიო ოზურგეთელის ტიტულიც და დიდი ხელოვანისა და მამულიშვილის საპატიო წოდებაც.

ნინო ნიკოლაიშვილი
3.03. 2015 წ.

ტბა, რომელიც სომეხ დეპუტატზე 1832 ლარად გასხვისდა



სოფელ ტბაწყურის მოსახლეობა სომხეთის პარლამენტის დეპუტატსა და სომხეთის გარემოს დაცვის ყოფილ მინისტრ ვარდან აივაზიანს სასამართლოში უჩივის. ადგილობრივები საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ სომეხი დეპუტატის კომპანიისათვის გაცემული იმ ლიცენზიის ბათილად ცნობას ითხოვენ, რომლის თანახმადაც მათ ტბაწყურის ტბაზე თევზაობა შეეზღუდათ. ამბობენ, რომ სოფელში მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო მხოლოდ თევზაობა იყო.

საქმე ისაა, რომ ტბაწყურის ტბა 2010 წლის 2 სექტემბერს ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებული აუქციონის შედეგად 1 832 ლარად გასხვისდა. აუქციონზე მხოლოდ ერთი კომპანია მონაწილეობდა - შპს "ტბები", რომლის 90%-იანი წილის მფლობელი სწორედ ვარდან აივაზიანი იყო. საჯარო რეესტრის მონაცემებით, კომპანია აუქციონამდე რამდენიმე დღით ადრე, 30 აგვისტოს შეიქმნა.

ეკონომიკის სამინისტრომ ტბაწყურის ტბა 20 - წლიანი სარგებლობით შპს "ტბებს" მხოლოდ იმ პირობით გადასცა, რომ ტბაში თევზი სტაბილურად იქნებოდა, ანუ გათევზიანება უნდა მომხდარიყო. ადგილობრივები ამბობენ, რომ კომპანიამ ეს პირობა არ შეასრულა. უფრო მეტიც, შპს "ტბებმა" თევზის განადგურება დაიწყო. კერძოდ კი სევანის ტბიდან ყუთებით 80 ტონა კიბორჩხალა ჩამოიტანეს და ტბაში გაუშვეს. კიბორჩხლები კი თევზის ქვირითებით იკვებებიან.

მათივე ინფორმაციით, ამის შემდეგ ტბაში მობინადრე 13 სახეობის თევზი თითქმის სრულად განადგურდა, თუმცა, როგორც აივაზიანი ტელევიზიებისთვის მიცემულ ინტერვიუებში აღნიშნავდა, ლიცენზიაში გაწერილი პირობების თანახმად, მან ტბაში 10 000 ლიფსიტა და კალმახი გაუშვა.

ამასთან, სოფლის მოსახლეობა იმასაც აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც აივაზიანმა ტბა შეისყიდა, მათ თევზაობის უფლებაც შეეზღუდათ.

"კომპანია "ტბებმა" დარაჯები დაიქირავა, რათა ადგილობრივებისთვის იქ თევზაობის უფლება არ მიეცათ.

აკრძალვის მიუხედავად მაინც ვთევზაობთ ხოლმე, რადგან არსებობას მხოლოდ თევზის გაყიდვით ვახერხებთ, თუმცა, ტბაში თევზი თითქმის აღარაა. ამდენი წელია ამით ვარსებობთ და ერთ დღეს ვარდან აივაზიანმა გამოგვიცხადა, რომ ამიერიდან ტბა მისი საკუთებაა, ამიტომ თევზაობას უნდა შეეშვათო," - ამბობს "მთელ კვირასთან" საუბრისას ადგილობრივი ლავრენტ მურადიანი.

მისივე თქმით, სოფლის მოსახლეობამ დახმარებისთვის არაერთხელ მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას, თუმცა, უშედეგოდ. როგორც მურადიანი აღნიშნავს, ადგილობრივები მზად არიან, ხელახალი აუქციონის შემთხვევაში ტბაზე თევზაობის უფლების მოსაპოვებლად ლიცენზია თავად შეიძინონ. ზემოთ ხსენებული მიზეზებისა და პრობლემის გამო ტბაწყურელებმა აივაზიანს სასამართლოში უჩივლეს.

საგულისხმოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ 11 მარტს ჩანიშნული პირველი მოსმენა გაურკვეველი ვადით გადადო.

ადგილობრივები იმასაც ამბობენ, რომ სომეხ დეპუტატს კარგი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილთან. მათივე განცხადებით, აივაზიანი ხშირად ჩადიოდა ტბაწყურში და მასთან ერთად დროს ატარებდა.

გაზეთ "ვრასტანის" რედაქტორი და საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ვან ბაიბურთი "მთელ კვირასთან" საუბრისას აივაზიანს დადებითად ახასიათებს და ამბობს, რომ მან 2010 წელს ტბა კანონის სრული დაცვით შეიძინა. ბაიბურთი მიიჩნევს, რომ დეპუტატს ადგილობრივებისთვის ზიანის მიყენება აზრად არ ჰქონია.

"ვარდან აივაზიანი ჩვენებური ადამიანი და კარგი მეგობარია. თვითონაც ტაბაწყურელია და ამიტომ ვფიქრობ, რომ ადგილობრივებს არაფერს აუკრძალავდა. აივაზიანი ჩვენი ქვეყნის ძალიან დიდი მხარდამჭერი, აგიტატორი და პროპაგანდისტია. ვიცი, რომ ის კანონდარღვევას არ ჩაიდენდა. დანამდვილებით ვიცი ისიც, რომ ტერიტორია კანონის შესაბამისად შეისყიდა, ამიტომ ამ კუთხით ბრალი არაფერში მიუძღვის.

,,ეს ადამიანი ჩვენს ქვეყანას ყველგან იცავს და ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. მე პირადად ბიზნესისგან ძალიან შორს ვარ, აქედან გამომდინარე, ამ საკითხზე სხვა დამატებითი ინფორმაცია არ მაქვს.

"რაც შეეხება შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრ ვანო მერაბიშვილთან მის ახლობლობას, ის ყველასთან მეგობრობს და შესაბამისად, არც ესაა გასაკვირი. გამსახურდიას პერიოდიდან მოყოლებული, დღევანდელი მაღალჩინოსნებით დასრულებული, ყველასთან კარგი დამოკიდებულება აქვს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ აივაზიანს საქართველოსთან მხოლოდ პოზიტიური ურთიერთობა აკავშირებს. მუდმივად იმისკენ ისწრაფვის, რომ ჩვენი ქვეყანა უსაფუძვლოდ არ ლანძღონ. რატომ უნდა ჩაედინა დანაშაული, უბრალოდ არ მესმის", - ამბობს "მთელ კვირასთან" საუბრისას ვან ბაიბურთი.

ტაბაწყურელებისა და დეპუტატ აივაზიანს შორის დაპირისპირებას ადასტურებს არასამთავრობო ორგანიზაცია "მრავალეროვანი საქართველოს" თავმჯდომარე არნოლდ სტეფანიანიც. როგორც მან "მთელ კვირას" განუცხადა, კომპანია "ტბები" ადგილობრივებს თევზაობას ნამდვილად უკრძალავს, თუმცა, სტეფანიანი იმასაც აღნიშნავს, რომ აივაზიანი ტბის 90%-ის მფლობელია და შესაბამისად, ეს მისი კანონიერი უფლებაა.

,,მრავალეროვანი საქართველოს" თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ პრობლემის გადასაჭრელად საკითხში ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, მთავრობაც უნდა ჩაერთოს, რათა ადგილობრივების ინტერესები არ შეილახოს.

,,ვიცი, რომ კომპანია ადგილობრივებს თევზისა და კიბორჩხალის დაჭერას ნამდვილად უკრძალავს, თუმცა, ისინი მაინც აქტიურად თევზაობენ, ანუ ბრაკონიერობენ. კანონის თანახმად, აივაზიანს თევზის დაჭერის უფლება აქვს, ხოლო კიბორჩახალა მისი გაშვებულია. გადასახადებსაც რომ იხდის, ესეც ფაქტია და კარგიცაა, ვინაიდან ბიუჯეტში ამით ფული შედის.

,,მეორე ფაქტორია, რომ აივაზიანი ტაბაწყურის მკვიდრებს შემოსავლის ერთადერთ წყაროს მართლაც ართმევს. რეალურად, მათ სხვა საარსებო წყარო არც აქვთ, გარდა თევზაობისა და მესაქონლეობისა.

"მეორე ფაქტორია, რომ აივაზიანი ტაბაწყურის მკვიდრებს შემოსავლის ერთადერთ წყაროს მართლაც ართმევს. რეალურად, მათ სხვა საარსებო წყარო არც აქვთ, გარდა თევზაობისა და მესაქონლეობისა.

,,სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ დაპირისპირება კონსენსუსით უნდა დასრულდეს, საამისოდ კი მთავრობამ ტაბაწყურელებს ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს არ ეხება მხოლოდ ერთ სოფელს. როგოც ვიცი, აქ მხოლოდ ერთი სოფელი არაა, სამი სოფელია, ამიტომ ცენტრალური ხელისუფლებაც უნდა ჩაერთოს პრობლემის მოგვარებაში და რაიმე გზები გამონახოს," - ამბობს სტეფანიანი.

ისივე ინფორმაციით, ვარდან აივაზიანს მართლაც ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილთან, თუმცა, რამდენად შეუწყო მან დეპუტატს ხელი ბიზნესის აწყობაში, მისთვის უცნობია.

,,მსმენია, რომ ვარდან აივაზიანს არა მარტო ვანო მერაბიშვილთან, არამედ წინა მთავრობასთანაც ჰქონდა კარგი ურთიერთობა. კონკრეტულად როგორ მოხდა ამ ტბის შესყიდვა, ამაზე ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცა, ყველამ კარგად ვიცით, რას ნიშნავდა იმ პერიოდში შს მინისტრთან მეგობრობა. ბევრი ვიცით სამცხე-ჯავახეთში, ვინც ამ ადამიანთან მეგობრობით ცხოვრება აიწყო. ასე რომ, არაფერს გამოვრიცხავ, თუმცა, კონკრეტულად ხელის გაშვერისგან მაინც თავს შეიკავებ," - დასძენს არნოლდ სტეფანიანი.

სალომე სარიშვილი
გაზეთი "რეზონანსი"

სპორტი

ხვიჩა ქასრაშვილი: „ქალაქს სურს კარგი გუნდი ჰყავდეს“

ალიონი: ოზურგეთის „მერცხალი“ საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდიდან ბოლო წლებში მაჩანჩალა გუნდად იქცა, რომლის ბოლო წლების მიზანი იყო, შეენარჩუნებინა ლიგაში ადგილი. ასე იყო შარშან, ასე არის წელსაც. ორიოდე კვირის წინ „მერცხალს“ სათავეში ცნობილი ფეხბურთელი და მწვრთნელი ხვიჩა ქასრაშვილი ჩაუდგა.

ქასრაშვილს ოზურგეთელი გულშემატკივრები კარგად იცნობე. 1985 წელს, როცა ოზურგეთის „მერცხალი“ ჩემპიონი გახდა, თავისი წვლილი ხვიჩა ქასრაშვილმაც შეიტანა.

ხვიჩა ქასრაშვილი მიშა მესხის „ავაზას“ აღზრდილია. თამაშობდა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, თბილისის „ლოკომოტივში,“ 1981 წელს ერთი სეზონი თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში იყო. შემდეგ საქართველოს სხვადასხვა წამყვან კლუბებში: სამტრედიის „ლოკომოტივში,“ ფოთის „კოლხეთი-1913,“ ლანჩხუთის „გურიაში,“ რუსთავის „მეტალურგში,“ ბათუმის „დინამოში,“ რუსთავის „ვორდაში“...

მან საწვრთნელო მოღვაწეობა 1994 წელს დაიწყო. თავდაპირველად შშს აკადემიის პირველი ლიგის გუნდს წვრთნიდა. იმ პერიოდში სანკ პეტერბურში მუშაობდა ცნობილი ფეხბურთელი და მწვრთნელი გივი ნოდია. მან ხვიჩა პეტერბურგში ჩაიყვანა და 4 წელი იქ დაჰყო. 1999-2001 წლებში საფეხბურთო კლუბ „ირაოში“ მუშაობდა. 2002-2005 წლებში თბილისის „დინამოს“ მე-3, მე-2 და შემდეგ მთავარი გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო. 2006 წელს მისი ხელმძღვანელობით ბოლნისის „სონი“ ჩემპიონი გახდა. მომდევნო წლებში უმაღლეს ლიგაში გადასულ საჩხერის „ჩიხურას“ ჩაუდგა სათავეში, შემდეგ– რუსთავის „მეტალურგს.“ 2010 წელს გია გეგუჩაძე უხმო ზესტაფონში და აკადემიის და დუბლების გუნდს წვრთნიდა.

ბოლო ორი სეზონი ჭიათურის „მაღაროელის“ მთავარი მწვრთნელი იყო. ამ გუნდმა პირველი წრე მე-2 ადგილზე დასრულა. ხვიჩა ქასრაშვილი უეფას „ა“ კატეგორიის მწვრთნელია.

–ბატონო ხვიჩა, რა მდგომარეობაში ჩაიბარეთ გუნდი, რა ცვლილებები მოახდინეთ და რა პერსპექტივებია წლევანდელ სეზონში?

–სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო თავის დროზე არ მოხდა გუნდის შერება და ვერ გაიარეს მოსამზადებელი პერიოდი. ფაქტიურად „მერცხალი“ მოემზადებელი შეხვდა მე-2 წრეს. გუნდს არ ჰყავდა სათადარიგო ფეხბურთელები. მე ტყიბულის „მეშახტესთან“ მატჩის წინ ჩავბარე გუნდი. პირველი, რაც გავაკეთე, იგი გავაძლიერე რამდენიმე ფეხბურთელით. დავით ბაქრაძე „მეშახტედან“ შეგვემატა, ლევან ქურდაძე–ზუგდიდის „პაიადან, “ ვლადიმერ უგრეხელიძე–ბოლნისის „სონიდან.“ ოზურგეთელი ვახტანგ ვაყელი დავბრუნეთ ქედის „პეთლემიდან.“

თუ ცხრილს გადავხედავთ, თერვოლის „სპოვნელას“ გარდა. ყველა გუნდს მოუწევს ბრძოლა შედეგის მისაღწევად. „მერცხალისთვის“ ყველა შეხვედრა ძალზე მნიშვნელოვანია და დარჩენილ 10 მატჩში ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ გუნდმა შენარჩუნოს ადგილი პირველ ლიგაში. რაც მთავარია, გუნდს გვერდით უდგას ქ. ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე და საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე. ბოლო ორ ტურში „მერცხალმა“ შინ ხობის „კოლხეთთან“ ფრედ 1:1 ითამაშა. ანალოგიური შედეგი იყო მარნეულში „ალგეთთან“ შეხვედრაში 1:1. 23-ში „მერცხალი“ უშუალო კონკურენტს წალენჯიხის „სქურს“ უმასპინძლებს.

– რა მდგომარეობაში სტადიონის ინფრასტრუქტურა?

– მძიმე მდგომარეობაა. არ მეგონა თუ ოზურგეთის სტადიონი ასეთ მდგომარეობაში თუ დამხვდებოდა. ძალიან ცუდ მდგომარეობაშია სათამაშო მოედანი. ამ ეტაპზე, რაც გავგაჩნია, იმით უნდა დავკმაყოფილდეთ.

–თავად გუნდის ხელმძღვანელობაში?

–გუნდის უფროსი შოთა გიორგაძეა. მწვრთნელები აკაკი ათუაშვილი, მერაბ ვანიძე, შუქრი კაშია, კახა როხაძე მეკარეების მწვრთნელი).

– რა დროს მოიცავს თქვენი ხელშეკრულება „მერცხალთან?“

– მომავალ სეზონშიც გავაგრძელებ „მერცხალთან“ სამწვრთნელო კარიერას. მით უმეტეს, როცა ქალაქს უნდა კარგი გუნდი ჰყავდეს.

მამუკა გოგუაძე, გაერთიანებული სტადიონის და კლუბის დირექტორი:

–სტადიონის და კლუბის გაერთიანებით ხდება კადრების ოპტიმიზაცია. ვინც სამსახურში დარჩება, ხელფასები მოემატებათ. ახალი აიპის დამფუძნებელი ქ. ოზურგეთის მერიაა და ვფიქრობ ბევრი იურიდიული ლაფსუსი გასწორდება.

უფრო მეტი ყურადღება მიექცევა ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. ალიცენზიო სკოლის 4 ასაკობრივ ჯგუფს „ა“ ლიცენზიის მწვრთნელი ხარიტონ ჩხატარაშვილი უხელმძღვანელებს. ამ სკოლიდან წამატებული ახალგაზრდები „მერცხალის“ მეორე გუნდში ითამაშებენ. იქაც თუ გამოიჩენენ თავს მთავარ გუნდში გადავლენ და ა.შ. გვინდა ოზურგეთში ძირითადად ადგილობრივი ფეხბურთელები თამაშობდნენ.

–ხვიჩა ქასრაშვილმა საფეხბურთო მოედნის ცუდი მდგომარეობაზე ისაუბრა...

–მოედანი მართლაც ცუდ მდგომარეობაშია. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ მინდორზე, „მერცხალის“ ხელმძღვანელების დაჟინებული მოთხოვნით გასული წლის შემოდგომაზე ცუდ ამინდში შედგა შეხვედრა ჩხოროწყუს „სამეგრელოსა“ და ოზურგეთის „მერცხალის“ მე-2 ლიგის გუნდებს შორის. ძალიან დაზიანდა ამ მატჩის დროს მოედანი და მისი რეაბილიტაციის სამუშაოებს ვატარებთ. ახალი ჩემპიონატისათვის საფეხბურთო მოედანი მწყობრში იქნება.

–ნაკმოძრაობა 2012 წელს ევროდონის სტადიონს გვპირდებოდა, რა ხდება დღეს?

– არ მინდა პოლიტიკური განცხადება გამმივიდეს, როგორ ასრულებდნენ დაპირებებს კარგად იცით. გვაქვს გარკვეული გეგმა. როგორც იცით თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია იწყება და სპორტის სამინისტრომ სთხოვს ქ. თბილისის მერიას გადმოგვცენ 5000 ცალი სკამი, რომელსაც სტადიონზე დავამონტაჟებთ. გარდა ამისა, ქ. ოზურგეთის მერიასთან ერთად გეგმაში გვაქვს სარბენი ბილიკების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს მძლეოსნობის განვითარებას. შესაძლოა მძლეოსნობას ახალმა აიპმა გუწიოს პატრონაჟი.

„არწივები“ პირველი ლიგის საგზურს უმიზნებენ

„არწივები“ პირველი ლიგის საგზურს უმიზნებენ

15 მარტს საქართველოს რეგიონული ჩემპიონატის დასავლეთ ზონაში ოზურგეთის „არწივები“ ჩაქვის „მეკობრეებს“ შეხვდნენ.

შეხვედრა „არწივებმა“ პრემიალური ქულით გაიმარჯვეს 31:8. „არწივებმა“ 9 შეხვედრიდან ყველა მოიგეს და 3 ტურით ადრე მე-2 ადგილზე მყოფ საჩხერის „ჯრუჭს“ 14 ქულით უსწრებს. მომდევნო მატჩს გუნდი სტუმრად ქედის „ფირალებთან“ ჩაატარებს.

***

ოზურგეთის „არწივები-ს“ ჭაბუკთა გუნდმა (1999-2000 წ.წ. დაბადებულებს ბათუმის „ბათუმის“ უმასპინძლეს და 19:12 დაამარცხეს.

ბარაქალა შენს შრომისმოყვარეობას და საქმისადმი სიყვარულს, ჩვენო ვოვა!

აკადემიკოს ვალერიან ცანავას თებერვალში დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. მე ამ იუბილეს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ვერ დავესწარი და გადავწყვიტე მისთვის ეს თარიღი ჩვენი გაზეთის მკითხველთან ერთად მიმელოცა.

ვალერიან ცანავა 1958 წელს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, გაანაწილეს სამუშაოდ ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. თავისი მოღვაწეობის შემდგომი წლები მან აქ დაძაბულ შრომაში გაატარა და მიაღწია უმაღლეს რანგებს როგორც მეცნიერებაში (უმცროსი მეცნიერ მუშაკი, ასპირანტი, მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ამავე აკადემიის ნამდვილი წევრი), ასევე თანამდებობებზე (განყოფილების გამგე, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ინსტიტუტის გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე).

მერწმუნეთ, ამის მიღწევა კოლოსალური შრომის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ იგი დასვენების დღეებშიც თავისი თეთრი ხალათით ხშირად მუშაობდა ლაბორატორიაში.

57 წელიწადია ცხოვრობს ანასეულში და დღესაც განაგრძობს სამეცნირო მოღვაწეობას ინსტიტუტში, რომლის ანალოგი არ არსებობს.

სამწუხაროდ, მას ორი მეუღლე და უფროსი ვაჟი გარდაეცვალა, მეორე ვაჟი კი, პეტრე წარმატებული ბიზნესმენია და საზღვარგარეთ ცხოვრობს თავისი შესანიშნავი ოჯახით.

მისასალმებელია, ვალერიან ცანავას გარეგნობაც – მხნედ გამოიყურება, ამ ხნის კაცს არც ერთი ღერი თმა არ აკლია, ჭაღარაც არ ურევია.

ბარაქალა შენს შრომისმოყვარეობას და საქმისადმი სიყვარულს, დიდხანს იყავი, ჩვენო ვოვა, საქართველოს სასახელოდ.

არსენ კეჭაყმაძე,
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ასოცირებული პროფესორი, ოზურგეთის საპატიო მოქალაქე.

ქალაქის მერისთვის დაწერილი სამადლობელი

მავანნი სკეპტიკურად აღიქვამდნენ ქალაქის მერად ბატონ ბეგი სიორიძის არჩევას, მაგრამ მათ იმედი გაუცრუვდათ. ქალაქის მერმა, მოსვლისთანავე, ახალგაზრდული შემართება და ქალაქის კეთილდღეობისადმი ზრუნვა შემოიტანა მოსახლეობაში. ყოველი მისი ქმედება მიმართულია ახალგაზრდობაში მომავლის იმედის გასაღვიძებლად.

ჩატარდა შესანიშნავი საკონცერტო სანახაობანი. იცვლება ქალაქის იერსახე. განსაკუთრებული სითბო ჩააქსოვა ბეგი სიორიძემ ქალაქის ისტორიული უბნის კეთილმოწყობაში. ამ უბანს მამულისათვის თავგანწირულ ახალგაზრდათა, 9 აპრილს დაღუპულთა სულები დასტრიალებს, ქუჩასაც 9 აპრილის ქუჩა ჰქვია.

ამ ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი სახლი თავადი გურიელის ქალიშვილს ქალბატონ ელენე გურიელს ეკუთვნოდა, რომელიც დანიშნული იყო ცნობილ მწერალ ლევ ტოლსტოის ვაჟზე, ასევე ცნობილ მწერალ ალექსანდრე ტოლსტოიზე.

შემდგომ ამ სახლში ცხოვრობდა არანაკლებ ცნობილი პიროვნება, თერგდალეული, ილიასა და აკაკის უახლესი მეგობარი, პეტერბურგის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის („კბილის საექიმო ფაკულტეტი“) კურსდამთავრებული, პირველი კბილის ექიმი გურიაში ბატონი სამსონ ვაშაყმაძე, თავის მეუღლე თამართან ერთად.

აი, რას ვკითხულობთ ბატონი სამსონის მიერ თამარისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში: „თამარ, მე ცოტა შემაგვიანდება, ამიტომ შენ უნდა უმასპინძლო აკაკის და ილიას, განსაკუთრებით აკაკის მიმიხედე, ჭამაში მორცხვია და დააძალე საჭმელი“.

ასეთი სასახელო უბანია 9 აპრილის ქუჩა, აქ ასევე მდებარეობს შესანიშნავი არქიტექტურული შენობა შემოქმედის ეპარქიის რეზიდენციისა, სადაც მაღალყოვლად უსამღვდელოესის შემოქმედელი მიტროპოლიტ იოსების ლოცვა და აქ მოღვაწე მონაზონ დედათა ღვთისადმი ღაღადისი იცავს გულ ქალაქს და სრულიად გურიას.

ავთანდილ ჩხიკვიშვილი,
მედიცინის აკადემიური დოქტორი,
16 მარტი, 2015 წელი.

სამადლობელი

მადლობას ვუხდი ქალაქის მერს, ბატონ ბეგი სიორიძეს ყურადღებისა .და პრობლემის მოგვარებაში გაწეული დახმარებისთვის.

მ.ვაჩნაძე

თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩოხატაურელ ექიმს, ქალბატონ რუსუდან შუბლაძეს, რომელმაც გულთბილად მიმიღო საკუთარ სახლში და მაღალწნევიან პაციენტს შესაბამისი სამედიცინო დახმარება გამიწია, ხოლო შემდეგ ოპერატიულად გადამიყვანა საავადმყოფო „მანქოლში“ შემდგომი მკურნალობის გასაწევად. მადლობა მთლიანად „მანქოლის“ სამედიცინო პერსონალს გამოჩენილი გულისხმიერებისა და ყურადღებისათვის.

ზამერი ჭანტურიშვილი

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“



არისტოტელე (ჩვ. წელთაღრიცხვამდე (384-322). ბერძენი ფილოსოფოსი. 342 წელს ალექსანდრე დიდის – მაკედონელის მასწავლებელი.

არისტოტელეს მეცნიერული მოსაზრებები დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა თითქმის ღვთიურ ჭეშმარიტებად. მას მიაჩნდა, რომ ყველაფერი შედგებოდა ოთხი ელემენტისაგან – მიწის, წყლის, ჰაერისა და ცეცხლისაგან. იგი აღიარებდა, რომ დედამიწა არსებობდა სამყაროს ცენტრში. როგორც შემდგომ დამტკიცდა, მისი მოსაზრებების ნაწილი არასწორი იყო. თუმცა, მეცნიერული აზროვნების სფეროში არისტოტელემ ფუნდამენტური გავლენა იქონია მომდევნო საუკუნეებზე. მისი ნააზრევი მიღებული იყო, როგორც ღმერთის სიტყვა, უდავო ჭეშმარიტება, თუმცა ხშირად გამოუყენებელი დარჩენილა.

ევკლიდე (ჩვ. წ-მდე 330-260). მისი ვინაობა ცნობილი არაა და რჩება საიდუმლოებით მოცულ მსოფლიო მოქალაქედ.

ძალიან ცოტას თუ დაუტოვებია ისეთი ღრმა მემკვიდრეობა, როგორიცაა „ელემენტების“ კონსტრუქციის მეთოდი“ რომელსაც იმგვარი მიზიდულობის ეფექტი მოეხდინოს დასავლური აზროვნების განვითარებაზე, აღიარებული ყოფილიყოს გეომეტრიაში ერთადერთ ჭეშმარიტებად დიდი ხნის მანძილზე და დღესაც გამოიყენებოდეს.

არქიმედე (ჩვ, წ-მდე 287-217). „მომეცით საყრდენი წერტილი და დედამიწას დავძრავ“, – ამ სიტყვებით მიმართა მან სირაკუზის მოსახლეობას.

ალბათ, ყველაზე დიდი აღმოჩენა მისი თანამედროვეებისათვის იყო საომარი დანადგარების შექმნა. არქიმედე დაიღუპა რომაელი ჯარისკაცების ხელით, როდესაც მათემატიკურ დიაგრამებზე მუშაობდა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო „ახალგაზრდავ, ნუ აწუხებ ჩემს წრეებს“. არქიმედეს აღმოჩენებს მიეკუთვნება: „არქიმედეს ხრახნი“, მოწყობილობა, რომელიც გამოიყენებოდა გემიდან წყლის ამოსაქაჩად და მინდვრების მოსარწყავად; „არქიმედეს კლანჭი“ საბრძოლო მოწყობილობა, რომელიც გემს გამოედებოდა და ძირავდა; „ბორბლების სისტემა“, რომლითაც შესაძლებელი იყო დიდი სიმძიმეების აწევა მინიმალური ძალის ხარჯვით.



ჰიპარქე (ჩვ. წ-მდე 165-125). ჰიპარქემ პირველმა გამოიყენა გრძედისა და განედის კონცეფცია გეოგრაფიული პოზიციის განსაზღვრის მიზნით. ჰიპარქეს გამოთვლებით, დედამიწიდან მთვარემდე მანძილი 240 000 მილია, რაც ძალზე ახლოა თანამედროვე ციფრთან. მან პირველმა შექმნა ვარსკვლავების კატალოგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 134 წელს. განსაზღვრა 850 ვარსკვლავის პოზიცია, რაც უდიდესი მიღწევა იყო მაშინდელი რესურსების გათვალისწინებით. უფრო მეტიც, მან შექმნა ვარსკვლავების მაგნიტუდისა და სიკაშკაშის სკალა. იყო პირველი ადამიანი, რომელიც იყენებდა გრძედსა და განედს მათემატიკურ გამოთვლებში დედამიწის ზედაპირზე პოზიციის ადგილმდებარეობის გასარკვევად. ეს უპირველესი მიღწევაა იმათ შორის, რომლებიც დღესაც დიდ აქტუალობას ინარჩუნებს.

მოამზადა

გურამ ცერცვაძემ

(გაგრძელება იქნება)

სკანვორდი



ფინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – გალილეო გალილეი; ფეხის სამოსი – წინდა; მეფის თანმხლები – ამალა; სასჯელი იარაღი – ძელი; გამზრდელი – ძიძა; პატარა ცხენი – გერგე; მარნის ინვენტარი – ძაბრი; მდინარე საქართველოში – ლიახვი; სამგლოვიარო სამოსი – ძაძა; ტბა აფხაზეთში – რიწა; სოფელი სამეგრელოში – ლია; ბეწვი – თმა; გაზაფხულის ყვავილი – ენძელა; ლოცვის ბოლოს ამოსათქმელი სიტყვა – ამინ; იაპონური სარეველა მცენარე – გრაკლა; მწვანილი – ქინძი; ხმელი ბალახი – თივა; მუდრეგი – ოხერი; მსუბუქი ქარი – ნიავი; ძვირფასქეწვიანი ცხოველი – წავი; ოპერა „მინდიას“ ავტორი – თაქთაქიშვილი; დიდი გორი – მთა; პატარა საწნახელი – ორე; თურქეთის დედაქალაქი – ანკარა; კუზიანი ცხოველი – აქლემი; ბატონი დაღესტანში – ნოინი; კომში – ბია; კურკოვანი მარადმწვანე მცენარე – წყავი; ჭაობის მცენარე – ლერწამი; პატარძლის მაყარი ქორწილში – მდადე; წნორის საფეხბურთო გუნდი – მილანი; ძვირფასი თევზი – სვია; დაფდაფი ანუ – ბობღანი; სამხედრო ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეული - სადროშო

გურული ფირალების ცხოვრებიდან

ტარიელა დათუნაიშვილი

ენვერ გოგუაძე

ნიკოლოზ მეხუზლასთან ერთად სოფელ უჩხუბში, დათულიე მაუჭაძისას გარდაფხაძისა და მგელაძის სტრაჟნიკებმა მოკლეს აგრეთვე მეორე ფირალი - ტარიელა დათუნაიშვილი. ,,სოციალური წარმომავლობით'' აზნაურთა წოდებას განეკუთვნებოდა და ,,გლეხივით წელში გაწყვეტილი'', როგორც იმდროინდელი ,,კლასთა ბრძოლის იკონიაზე'' დაფუძნებული ლიტერატურა მიუთითებს ნამდვილად არ ყოფილა. ლაღი იყო და ნავარდი უყვარდა. ფირალებთან ქონდა კავშირი და კარგა გვარიან თანხას აქედან შოულობდა. მუშაობისათვის თავს არ იკლავდა. ფირალები ,,მისას''-როგორც სანდო კაცისას ითვდნენ ღამეს და ,,სარფიც'' აქედან ქონდა. დათუნაიშვილთან ,,ღამის მათევარი'' ფირალებიდან ერთი მათგანი გვარად კახიძე ლეო, ფირალ დათულია მიქელაიშვილთნ ერთად ზესტაფონში ,,უფლის მსახური'' რომ დააყაჩაღა და 8000 მანეთი აართვა. წარმომამვლობით სოფელ აკეთიდან იყო. აკეთი თავდგირიძეთა გვარის ყოფილი საბუდარი, თავისი შესანიშნავი მაცხოვრის ეკლესიით, გურიაში ერთ-ერთი უმდიდრსი და უთვალსაჩინოესი ისტორიეული სოფელი იყო. მოსავლის სიუხვითა და ჰაერის სიჯანსაღით გამოირჩეოდა. იგი ,,გურული მათესალების'' ნამდვილ სამკვიდროს წარმოადგენდა. 100 წლის კაცის ნახვა-როგორც ცნობილი მოგზაური და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია გადმოგვცემს, - ამ სოფელში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ტარიელას ,,ფირალად გაჭრის ხანს'' აკეთში ცხოვრობდა 140 წლის მოხუცი სიმონიკა ღლონტი, რომელიც თავის მოხუც შვილს ყანაში ეხმარებოდა, ხოლო 25 წლის ტარიელა დათუანიშვილი ,,მკლავებზე იხედებოდა'' და გასაფირალებლად იყო შეწკიპული. ,,ორი პარასკევი იფირალა ტარიელამ'' სულ ხუთი თვე. ამდენ ხანს კაცი გურიაში ,,თამადად იყო სუფრაზე''. ფირალობის არც იღბალი ქონია და რაც ალღო. ხუთი თვის ფირალობაში უმნიშვნელო თანხას გამოჰკრა ხელი, მაგრამ სიცოცხლის დათმობის ფასად არ ღირდა. ტარიელა ,,გზიდან'' გაფირალდა, არც სტრაჟნიკი მოუკლავს და რაც ბოქაულიზა შეუთვლია რაიმე საძრახისი მუქარა. ოზურგეთში იყო წასული საქმეზე. ბოქაულის ,,დანოსი'' ჰქონდა, რომ იგი ,,გავარდნილ კაცებს'' ინახავდა. მოულოდნელად დაეცნენ მის კარმიდამოს და ,,დედა-ბუდიანად'' გაჩხრიკეს. სამხილიც საკმაოზე მეტი იპოვეს, ეს იყო 1891 წლის 21 აგვისტოს.,,სოფელი აკეთი, ოზურგეთის მაზრა, - იუწყება აღნიშნულის შესახებ გაზ. ,,ივერია'',- 21 ამ თვისას სრულიად მოულოდნელად ჩვენს სოფელში კიდევ ორი ყაჩაღი აღმოჩნდა... საღამო ხანს ბოქაული ორის ყაზახითა და მამასახლისის-მწერლით მივიდა აზნაურ დათუნაიშვილისას. აქ თურმე კარგა ხანია რაც ორი ფირალი ინახავდა თავს. ერთი მათგანი გვარად კახიძე იყო. იმათ მოჰკურცხლეს... (რის შემდგომაც ბოქაულმა და ყაზახ-რუსებმა) სახლი გაჩხრიკეს. რამდენიმე ასი თოფის გულა იპოვნეს, საფირალო ტანსამოსი და სხვა საეჭვო ნივთები. თვით მასპინძელი აზნაური ტარიელ დათუნაიშვილი ოზურგეთში იყო, გზად შეიტყო ეს ამბავი, ტარიელამ სახლში აღარ დაბრუნებულა, ,,იშვირა ფეხი'' და ტყეში გავარდა, ერთხანს კახიძეებთან დათარეშობდა. შემდეგ ,,ყანის ნადურიდან'' პირდაპირ ტყეში გაჭრილი ფირალი ნიკოლოზა მეხუზლა მოძებნა და მასთან ერთად დაიწყო თარეში. ნიკოლოზასთან ერთად დალია კიდეც სული. სიკვდილამდე ერთი საფირალო ოპერაცია მოასწრო, ხიდისთავში ჩავიდა, ერთი ,,ხელგამოსული'' ვაჭარი გაძარცვა და ბოლოს ვაჟკაცურადაც ზედ მიაძახა: ,,ტარიელა ვარ დათუნაიშვილიო''. სახელად ტარიელა ერქვა და ტარიელობას ,,ჩემობდა'' ნიკოლოზ მეხუზლასადმი მიძღვნილ ,,ხოტბაში'' სახალხო მთქმელი ერთგან ნიკოლოზას ათქმევინებს. ,,ნაკალანდევი შეიქმნა, ყოლგან ახდენენ ყრილობას ვთქვი იგი ტარიელია, მე ვიზამ ავთანდილობას'' . ახალი დროის ამ გურიის ,,ავთანდილებმა'' და ,,ტარიელებმა'' ვერც ნესტანი გამოიხსნეს და ვერც ქაჯეთის ციხე აიღეს. 1822 წლის 15 იანვარს სტრაჟნიკთა ტყვიებით დაფლეთილები ახლობლებმა ,,გურიის მიწას მიაბარეს''. მათი სიკვდილის შემდეგ საფირალო ასოპარეზზე სისონა დარჩია წარმოჩნდა მთელი თავისი შემართებით. სტრაჟნიკთა ჯავრის ამოსაყრელად, სისონა სესიკას ძე დარჩიამ ,,გამართა მკლავი''.

24 მარტი – ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღე

მსოფლიოში 2 მილიარდზე მეტი ადამიანი ინფიცირებულია ტუბერკულოზის მიკობაქტერიით, რომელთაგანაც 10%-ს სიცოცხლის განმავლობაში უვითარდება კლინიკურად გამოვლენილი აქტიური ტუბერკულოზი. 2013 წელს დარეგისტრირდა დაავადების 9 მილიონი ახალი შემთხვევა და გარდაცვალების 1,5 მილიონი შემთხვევა. ამავე პერიოდის განმავლობაში ჯანმოს-ს გათვლებით 3 მილიონი შემთხვევა დარჩა გამოუვლენელი. ეს ნიშნავს რომ ეს ადამიანები არ არიან ოფიციალურად რეგისტრირებული ტუბერკულოზის ეროვნულ პროგრამებში, ვერ ღებულობენ შესაბამის მკურნალობას და აგრძელებენ გარშემომყოფთა დაინფიცირებას. ამავე წლის პერიოდში, დაახლოებით 480 000 ადამიანს განუვითარდა მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი (**MDR-TB**) ექსტენსიურად რეზისტენტულ ტუბერკულოზთან ერთად **(XDR-TB**), რომელიც უკვე 100 ქვეყანაშია რეგისტრირებული.

დღეისათვის ყველაზე დიდ გამოწვევად ტუბერკულოზის მართვაში რჩება სწორედ გამოუვლენელი პაციენტები და ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების ზრდა. ამიტომ წლევანდელი 24 მარტის სლოგანიც შარშანდელის მსგავსად რჩება იგივე: ,,გამოავლინე 3 მილიონი, უმკურნალე, განკურნე ტუბერკულოზი''.

საქართველოში 2014 წელს დარეგისტრირდა ტუბერკულოზის 3839 შემთხვევა. დაავადების გავრცელება 100 000 მოსახლეზე შეადგენს 86-ს, ხოლო ავადობა 63-ს. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის ხვედრითმა წილმა ახალ შემთხვევებს შორის შეადგინა 11%, ხოლო ნამკურნალებ შემთხვევებს შორის - 38%, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. პენიტენციურ სისტემაში ტუბერკულოზის გავრცელება 17-ჯერ აღემატება სამოქალაქო სექტორში იგივე მაჩვენებელს. ხშირია აივ ინფექციისა და ტუბერკულოზის დაავადებათა ერთობლივი არსებობა. ტუბერკულოზით დაავადებულთა შორის აივ-ის გავრცელება 2,1 %-ს შეადგენს, ხოლო მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებს შორის აივ-ის გავრცელება 5,3%-ს აღწევს.

მსოფლიოში ტუბერკულოზის გავრცელების შესაჩერებლად სოციალური და პოლიტიკური მოძრაობის დაჩქარების მიზნით, 2000 წელს ჩამოყალიბდა გლობალური მოძრაობა "პარტნიორობა შევაჩეროთ ტუბერკულოზი"**STOP-T**

პარტნიორობის მიზანია, აღმოფხვრას საზოგადოების ჯანმრთელობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა-ტუბერკულოზი და საბოლოოდ გაათავისუფლოს მსოფლიოამდაავადებისგან. პარტნიორული მოძრაობა 400-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციათა ქსელისაგან შედგება: ქვეყნები, საზოგადოებრივი და კერძო სექტორების დონორები, სამთავრობო და არასამთავრობოორგანიზაციები, ცალკეული პიროვნებები.

ბავშვებში ტუბერკულოზის გავრცელება - მსოფლიოში წლის განმავლობაში დარეგისტრირებული 9 მილიონი შემთხვევიდან დაახლოებით 900 000 ბავშვია (10%). 15 წლამდე ასაკის ბავშვები შეადგენს მაღალი რისკის ასაკობრივ ჯგუფს ტუბერკულოზისათვის. დაავადების მიმდინარეობა განსხვავდება მოზრდილთა ფორმებისაგან და ხშირად სიმპტომატურად და ატიპიურად მიდის. მცირე ასაკის ბავშვებში ხშირია ფილტვგარეთა ფორმები.

ტუბერკულოზი (**TB**) ეს არის რესპირატორული ტრაქტის დაავადება, რომელსაც იწვევს **Mycobacterium tuberculosis.** აქტიური დაავადების მქონე პაციენტებიდან ეს შეძენილი მიკროორგანიზმები ვრცელდებიან ხველების, ცემინების ან ლაპარაკის დროს. ჰაერწვეთოვანი გზის საშუალებით ეს მიკროორგანიზმი რესპირატორული ტრაქტის გავლით და ფილტვის ალვეოლში სახლდება.

ტუბერკულოზის შემთხვევების მაღალი რიცხვი დამახასიათებელია შემდეგი გეოგრაფიული ზონებისათვის: აფრიკა, აზია, აღმოსავლეთ ევროპა, ლათინო ამერიკა და რუსეთი.

Mycobacterium tuberculosis -iTeqs პოზიციისა და დაავადების მაღალი რისკის ქვეშ დგას ადამიანების შემდეგი კატეგორიები:

- ვინც ხშირად მოგზაურობს მსოფლიოს ისეთ ადგილებში, რომლებიც ტუბერკულოზისათვის ენდემურს წარმოადგენს.
- მცხოვრებლები და თანამშრომლები მჭიდროდ დასახლებული ადგილებისა, როგორიცაა გამოსასწორებელი-დაწესებულებები, ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებები და უსახლკაროთა თავშესაფარები
- ჯანდაცვის თანამშრომლები, რომლებიც ემსახურებიან მაღალირისკისპაციენტებს ან ექსპოზიციისადმიდაუცველები არიან
- სამედიცინო მომსახურეობას მოკლებული და დაბალი შემოსავლის მქონე პოპულაცია
- ახალშობილები, ბავშვები და მოზრდილები, რომლებიც იმყოფებიან მაღალი რიკის კატეგორიის ზრდასრულიადამიანებითექსპოზიციისქვეშ
- ქრონიკული ან იმუნოდეფიციტისდაავადებებისმქონეპაციენტები

ტუბერკულოზის ზოგადი სიმპტომებია:

- სხეულის ტემპერატურის მომატება, განსაკუთრებით დღის II ნახევარში.
- **ადვილადდაღლა**
- **ღამისოფლიანობა**
- **მადისდაქვეითება**
- **წონაშიდაკლება**
- **შრომისუნარისდაქვეითება**

ფილტვის ტუბერკულოზის დროს შეიძლება აღინიშნებოდეს:

- გახანგრძლივებული (2 ან მეტი კვირისგანმავლობაში) ხველა უპირატესად ნახველის გამოყოფით.
- **სისხლიანიხველა.**
- **ფილტვებიდანსისხლდენა.**
- **ტკივილიანუსიამოვნოშეგრძნებაგულმკერდისარეში.**
- **ჰაერისუკმარისობა.**
- **გახსოვდეთ:**

ტუბერკულოზისთვის დამახასიათებელი ჩივილების არსებობისას დროულად მიმართეთ ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერებსა და კაბინეტებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც სახელმწიფოს ტანდარტის ფარგლებში უფასოდ ჩაგიტარდებათ საჭირო გამოკვლევები დ ამკურნალობა.

ტუბერკულოზით დაავადებულს მკურნალობა უნდა ჩაუტარდეს სპეციალისტის - ექიმ-ფთიზიატრის უშუალო მეთვალყურეობით.

- სტაციონარული ქიმიო-თერაპიის სრულკურსს. ტუბერკულოზიიკურნება, თუ თქვენ ჩაიტარებთ სტაციონარული ქიმიო-თერაპიის სრულ კურსს.
-
- დროულად აღმოჩენილი და ადექვატურად ნამკურნალები ტუბერკულოზი, განკურნებადია!

არჩილ მჟავია

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის
დაავადებათა კონტროლისა
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი

სამგლოვიარო განცხადებები

სოფელ თხინვალში უახლოესი მეზობლები იუწყებიან **ენვერ გიორგის ძე ცერცვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნასაკირალის საჯარო სკოლის კოლექტივი იუწყება ყოფილი თანამშრომლის ქალბატონ **რუსუდან გვარჯალაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

„დედა, მზე და... გაზაფხული“

ახალს არაფერს ვიტყვი თუ აღვნიშნავ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ გამართული ღონისძიებები ყოველთვის გამორჩევა ორიგინალობით, თემის აქტუალობით, თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი სინქრონულობით, სასიამოვნო სიურპრიზებითა და მომავლის განჭვრეტით.

სწორედ მომავლის ხედვა გასდევდა ლიტმოტივად 18 მარტს აქ გამართულ შეხვედრას ნიჭიერ და წარმატებულ ოზურგეთელ მოსწავლეებთან, სახელწოდებით „მინდა ყველაფერი ვიცოდე“.

დედის, მზისა და გაზაფხულის (ღონისძიების სლოგანიდან „დედა, მზე და... გაზაფხული“) სიყვარულით შთაგონებულმა ახალგაზრდებმა მოსწავლეებით, პედაგოგებით, მშობლებით, გულშემატკივრებით სავსე დარბაზს აჩვენეს თავიანთი ამოუწურავი შესაძლებლობები ხელგარჯილობაში, სახვით ხელოვნებაში, ლიტერატურაში, მუსიკაში, ფოლკლორში, მეცნიერებაშიც კი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე, ქალაქის თვითმმართველობის სხვა ოფიციალური პირები.

საბავშვო იუმორი

„ბეკოფა, ბაბუ, თორემ მერე მე აღარ მენქება“

თბილისში, სტუმრად ჩასულს, ქალიშვილმა დილით ჩაი მომიმზადა, მაგიდაზე კარაქი და ქლითი თაფლი დადო. ქილაში თაფლი თითქის ფსკერზეა დასული. კოვზით ნელ-ნელა ვიღებ და კარაქიან პურზე ვუსმევ. სამ-ოთხი ლუკმა რომ მივირთვი, ოთახში ჩემი ოთხი წლის შვილიშვილი დავითი შემოტანტალდა, ჯერ ქილას დაკვირდა, მერე მე შემომხედა და წარბებშეკრულმა მითხრა: „ბეკოფა, ბაბუ, თორემ მერე მე აღარ მენქება.“

ჩემი სამიგინალურია

დათუნა და დედამისი კუბიკებით ცალ-ცალკე სახლებს აგებენ. მე ჟურის წარმოვადგენ, ვინც მოასწრებს, ის უნდა გამოვაცხადო გამარჯვებულად. თითქის ერთდროულად დამთავრეს „შენება“.

დედა ეუბნება: – აი, შეხედე, ჩემი უფრო ორიგინალურია!

დათუნა პასუხობს:– სამაგიროდ ჩემი სამიგინალურია!

რა თქმა უნდა, გამარჯვებულად სამიგინალური სახლის ამგები გამოვაცხადე.

თემურ მარშანიშვილი

კეთილი ხალხის წყალობით, კალმახის პოპულაცია საქართველოში სულ მალე გაიზრდება

“შოლტით მეთევზეთა კლუბი” საქართველოში ცოტა ხნის წინ დაარსდა. თევზა-ობის ეს სტილი -FLY FISHING პოპულარულია მთელს მსოფლიოში და მას მილიონობით მიმდევარი ჰყავს. კლუბის დამფუძნებლის, შოთა ჯოხაძის აზრით, ხელშეწყობის პირობებში ტურიზმის ამ დარგის განვითარებას საქართველოში დიდი პერსპექტივა აქვს. ამის შესახებ სააგენტო “ფოსტალიონი” თებერვლის გამოცემაში წერდა. იხილეთ ლინკი: “შოლტით თევზაობა” შესაძლოა, ტურიზმის ახალი სახეობა გახდეს.

ახლახან შოთა ჯოხაძემ კლუბის ოფიციალურ გვერდზე განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

მეგობრებო, კლუბის წევრებო, თევზაობის და ბუნების მოყვარულებო, მინდა სასიხარულო იფორმაცია გაცნობოთ:

ჩვენი კლუბის ინიციატივით დაიწყეთ მუშაობა მთის კალმახის მოშენებაზე. დაგეგმილია მთის მდინარეებში ეტაპობრივად მოშენდეს მთის კალმახი, შემდგომში გამრალვების მიზნით. ამისათვის რიგი სამუშაოები ტარდება. მოგეხსენებათ მსგავს ქმედებას სჭირდება მკაცრი ზედამხედველობა და კონტროლი, ამიტომაც პირველ ეტაპზე საჭირო იყო ხმა მიგვეწვდინა კონკრეტული ორგანოებისათვის, რათა მიგვეღო ნებართვა და გვერდზე დგომა.

ჩვენი კლუბის წევრმა- ბატონმა მერაბ ოკუჯავამ, დიდი მონდომებით, საფუძველი ჩაუყარა ამ კეთილი საქმის წამოწყებას. მარტის თვეში, სამეგრელო ზემო სვანეთის გუბერნატორის, ბატონ ლევან შონიას და სამეგრელო ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილის, ბატონ კობა ქანთარიას ინიციატივით, შედგა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, ბატონ ელგუჯა ხოკრიშვილის სტუმრობა სამეგრელოში, რათა შეხვედრა შემდგარიყო ადგილობრივ მონადირეებთან და მეთევზეებთან. განხილულ იქნა რიგი საკითხები როგორც ნადირობის, ასევე თევზაობის სფეროში. ამ შეხვედრაზე მოხდა ჩვენი კლუბის წამოწყების საინფორმაციო გაცნობა, რასაც დიდი ინტერესი მოყვა. დაიგეგმა ამ საკითხის დეტალურად შესწავლა და უკვე თბილისში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, ბატონ ელგუჯა ხოკრიშვილის ინიციატივით დაიწყო სამუშაო შეხვედრები, სადაც სრული მხარდაჭერა გამოგვიცხადეს.

მინდა ვისარგებლო შემთვევით და განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო იმ კეთილ ადამიანებს, რომლებისთვისაც სულერთი არაა საქართველოს მდინარეების და ტბების მდგომარება:

სამეგრელო ზემო სვანეთის გუბერნატორს, ბატონ ლევან შონიას; სამეგრელო ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილეს, ბატონ კობა ქანთარიას; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს, ბატონ ელგუჯა ხოკრიშვილს; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილეს, ბატონ გიორგი სომხიშვილს.

ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის უფროსს, ბატონ იოსებ ქარცივაძეს.

მთის კალმახის მოშენების ფაქტი საქართველოში უკვე არსებობდა 2011 წელს, საჩხერის რაიონში, ბატონი გოჩა ბახტურიძის ინიციატივით, სადაც ბუნებრივ პირობებში

იქნა მომრავლებული და წარმატებით გაშვებული ადგილობრივ მდინარეში. ასეთი კეთილი ქმედება თავისთავად გადამდებია და მომავალშიც იმედია, უფრო მეტი კეთილი ადამიანი ჩაერთვება. თევზის გაშვების ფაქტი ერთჯერადი არ ყოფილა და ის დღემდე გრძელდება. კალმახის მოშენების ეს ფაქტი საინტერესო იმითაა რომ, ეს მოხდა ბუნებრივ პირობებში. მდინარის მახლობლად გაიჭრა არხი, სადაც მოთავსდა სადედე ეგზემპლარები.

ქვირითობის შემდეგ სადედე კალმახები ისევ დაუბრუნდა მდინარეს. დაყრილი ქვირითიდან გამოჩეკილი ლიფსიტები ადვილად შეეგუა გარემოს და მოღონიერების შემდეგ როდესაც მიაღწიეს გარკვეულ ზომას, გაშვებული იქნა ისევ მდინარეში. ასეთ ქმედებას არ სჭირდება დიდი ფინანსები. მხოლოდ იხტიოლოგის რჩევა და კეთილი ნებაც საკმარისია. არხის ნაპირებთან დამონტაჟებული განათების წყალობით, უამრავი მწერი იყრის თავს, რაც კალმახისთვის საკვებს წარმოადგენს. მართალია, ქვირითს ხელოვნული განაყოფიერების დროს ბევრად მეტი წარმადობა აქვს მაგრამ, ამას სწორედ საკმაოდ დიდი ენერგია, ფინანსები და ცოდნა სჭირდება. ასევე მნიშვნელოვანია ისიც რომ, სხვა კლუბები ანალოგიურ ინიციატივას იჩენენ და სხვა და სხვა ჯიშის თევზის მომრავლების ფაქტები არსებობს. მაგალითად, საქართველოს ფიდერით სპორტული თევზჭერის ეროვნულმა ფედერაციამ 2014 წელს წარმატების მოამრავლა და გაუშვა 2500 ცალი კაპარჭინას სახეობა იგივე “ლეშა“. 2015 წელს დაგეგმილია უკვე 50 000 ცალის გაშვება.

ასეთი მზარდი ინიციატივა, მხოლოდ პატივისცემას როდი იმსახურებს როგორც ფედერაციის ასევე მისი პრეზიდენტის, ბატონი თენგო ბინიაშვილის მიმართ. იგივე ფედერაციის ინიციატივით და მერიის დაფინანსებით, წელს უკვე თბილისის ზღვის გათევზიანებაა დაგეგმილი. ასევე კლუბი მონადირის ინიციატივით 2012 – 2013 წლებში თბილისის ზღვაში 6000 ცალი ცისარტყელა ლიფსიტა იქნა გაშვებული რომელიც დღემდე განაგრძობს წარმატებით ბინადრობას.

საკმარისია ასეთი ინფორმაცია მასობრივად გავრცელდეს და როგორც პირადად მე მეუფლება უდიდესი იმედის გრძნობა, იგივე გრძნობა დაეუფლება ყველა ბუნების მოყვარულ ადამიანს.ეს ნიშნავს იმას, რომ უფრო მეტი ადამიანი იქნება ჩართული ასეთ კეთილ საქმეებში.

დიდი იმედი მაქვს, ეტაპობრივად ბრაკონიერობაც მოიკლებს და ყოველწლიურად ჩვენი ულამაზესი ბუნება სულ უფრო გამოცოხლდება. არ შემიძლია არ შევეხო ბრაკონიერების იმ საშინელ ქმედებებს, რომელსაც ისინი სისტემატიურად ანხორციელებენ, სპობენ მდინარეებს და ტბებს, ანადგურებენ ნადირს და ფრინველს. შემდეგ სუფრაზე შეიკრიბებიან და საქართველოს სადღეგრძელოს მიირთმევენ. იმ საქართველოსი, რომელსაც თელავენ, იმ ბუნების სადღეგრძელოს, ,რომელსაც აჩანაგებენ და ეს მათთვის ნორმალურია ჩვენთვის კი მტკივნეული და დასაძრახი.

ნუთუ არსებობს საქართველოში კუთხე, სადაც ისინი არ თარეშობენ ? სადაც არ სპობენ, არ თელავენ და არ აჩანაგებენ? სამწუხაროა, მაგრამ არა ! თუმცა მე ვიცი ისეთი კუთხე, სადაც ვერ სპობენ, ვერ ბედავენ, თორემ, რა თქმა უნდა, ამის უდიდესი სურვილი აქვთ. არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც არ აძლევენ ამის ნებას.

თუმე არსებობენ ადამიანები, ვინც კბილებით იცავს ჩვენს ბუნებას, ვინც საკუთარი სახსრებით ანოყიერებს ჩვენს მდინარეებს, არსებობენ ისინი, ვინც შემდეგ უფრთხილდებიან და უვლიან. კეთილი საქმე უყურადღობოდ როდის დარჩენილა და ჩვენი თევზის მოშენების ფაქტები ამას ადასტურებს. უახლოეს მომავალში შევეცდები დეტალური გეგმა გამოვაქვეყნო გოჩა ბახტურიძის ქმედების, რომ მთელმა საქართველომ, ვისაც ამის კეთილი ნება ექნება, შეძლოს ანალოგიურად იმოქმედოს და მოვა დრო, როცა ჩვენი ტბები და მდინარეები ისევ აივსება მისი ბინადრებით. ყველგან, სადაც მდინარეა, შესაძლებელია თევზის მომრავლება. ყველა სოფელს შეეძლება ასე მარტივად გაამრავლოს თევზის სხვადასხვა სახეობები.

პატივისცემით შოთა ჯოხაძე
Georgian Fly Fishing Club
www.flyfishing.ge

7 დღის ამინდის პროგნოზი

23 მარტი, ორშაბათი	24 მარტი, სამშაბათი	25 მარტი, ოთხშაბათი	26 მარტი, ხუთშაბათი	27 მარტი, პარასკევი	28 მარტი, შაბათი	29 მარტი, კვირა
მზე, +5+12	მზე, +5+12	მზე, +7+16	მზე, ღრუბელი +12+19	მზე, ღრუბელი +14+20	მზე, ღრუბელი +14+19	წვიმა +12+19